საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ. პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამსტრიქონიანი განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი

№ 45

[illegible], ოქტომბერი [illegible] 1921 წ.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

## ტრიბუნიდან

25

**ქუთაისის ყოფილ „ამხანაგ მეგობრებს“.**

ერთ ხანად ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მენშევიკებს, მათ დადგენილებებს, მათ მუშაობას. ბევრი საყვედურს გვიცხადებდა ყოველ ამისათვის—წაქცეულებს არა სცემენო, გაზეთი არ აქვთ, რას ებრძვითო. ჩვენ არ ვიზიარებდით ამ პასუხს, იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მენშევიკების ძალა სრულიადაც არ მიგვაჩნდა ისეთ ძალად, რომელსაც რაიმე მოსაზრებით ნაკლები ანგარიში უნდა გაუწიოთ, პირიქით, მენშევიზმი ეხლაც საგრძნობი მოვლენაა და მას დიდი ყურადღების მიქცევა მართებს, როგორც ერთს მავნებს და გარკვეულს მიმართულებას.

მაგრამ არიან ჯგუფები, რომელთაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიაქციო იმ შემთხვევაშიაც, რომ წაქცეულიც არ იყოს, თავისი ორგანოც ქონდეს, ასე თუ ისე მოქმედებს ერთი ასეთი ჯგუფი ეგრედ წოდებული მემარჯვენე ფედერალისტებია. ქვეყანამ იცის, მთელი შვიდი თვის განმავლობაში ჩვენს გაზეთში ამ ხალხზე კრიტიკაც არ დაგვიძრავს, თუმცა ძალიან კარგად ვიცით, რომ ყველაზე მეტი ლანძღვა-თრევა, ყველაზე მეტი დემაგოგია, ყველაზე მეტი აშმორებული ტალახი სწორედ ამ ფრონტიდან მოგვდიოდა. არა თუ სრულიად უყურადღებოთ ვტოვებდით, ვტოვებთ და დავტოვებთ ამ ჯგუფს, როგორც მართლაც წაქცეულებს, რომელსაც სირცხვილია ზედმეტი შეურაცხყოფა მიაყენო; ჩვენ ჩვენი გაზეთის ფურცლებიც გად უშალეთ და საშუალება მივეცით „დეკლარაციაც“ გამოეცხადებინა, ჩვენს წინაადმდეგ ყოველ მათ ნაბიჯს ხომ ისე უბეჭდავდით, როგორც მათ სურდათ, თავიანთი სტილით, თავიანთი ლექსიკონით.

არც ამ ხალხს თუ გვინდა დღეს მცირეოდენი ყურადღება მივაქციოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ სისტემატიური იერიშებს სხვა და სხვა ანონიმებისას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოთ. ამიერიდან „ტრიბუნა“-ს რედაქცია ყოფილ „ამხ. ნაგ-მეგობრების“, „ძველი ფედერალისტი“-ს, „ნაცნობის“ და სხვა მრავალთა წერილებს შეინახავს, როგორც კოლექციას, როგორც ძვირფას მასალას ისტორიისათვის, სადაც დაილაგებით გამოირკვევა ვინ რას ამბობს, რად ამბობს და როგორ ამბობს.

ამ განცხადებით ვსარგებლობ, რომ აქვე პასუხი მივცე მხოლოდ ქუთაისის ყოფილ „ამხანაგ-მეგობრებს“. რომ შეიძლებოდეს ამოწერა იმ სიტყვების, რომელთა თაიგული ასე სათუთად შეუკრავს ქუთათურებს—სიამოვნებით ამოვალაგებდით აქაც. რამდენი ქუქუ, რამდენი სიგლახე, რამდენი ლვარძლი, რამდენი სიმდაბლეა აქ გამოფენილი. ათ წელიწადზე მეტია სოც.-ფედ. პარტიაში ვმუშაობ და გულწრფელად ვაღიარებ: არ მეგონა ასეთი ლექსიკონის „ამხანაგები“ თუ მოიძებნებოდა ჩვენს შორის, მით უმეტეს „მეგობრებიც“ მადლობა ღმერთს, რომ ასეთი ყოფილი „მეგობარი“ იმ ბანაკში ??? , საიდაც ამ ცამდე ბრძანდება და ის აღნიშნავს მხოლოდ, რომ იგი ერთად ყოფნის დროსაც ალბად შორს იქნებოდა ჩვენგან.

რას გამოწვევია ეს ხალხი?—ჩვენს წერილს გურჯაანი-ჩხეიძის შესახებ. ჩვენთვის ეს პირდაპირ მოულოდნელი და გასაოცარია“. ნუ თუ ამ საკითხშიაც შეიძლებოდა კიდევ ორი აზრი ყოფილიყო არა მენშევიკთა შორის? გურჯაანი-ჩხეიძის მოწოდება ჩვენ დავგმეთ იმიტომ, რომ ისინი სიმშილს იყენებენ პოლიტიკური მიზნებისათვის. ჩვენ მუდამ ვამბობდით, შეიძლება ეს იყო ჩვენი პარტიის სისუსტეც, რომ არის საკითხები, რომლის წინაშე ჩვენ პარტიულ დროშას დავხრით მთელი ქვეყნის სასარგებლოდ. ეხლაც ამ აზრისა ვართ: თუ დამშეულია საქართველო ჩვენ დახმარებას მივიღებთ ყოველ პირობაში, ყოველ ძალთაგან. თუ საქართველოს ცეცხლი უკიდია, ჩვენ წყალს მივიღებთ და არ გავარჩევთ ვოლგისაა იგი წყალი ვისლის, დუნაის, რეინის თუ ოდერის, თუ შავი ჭირია ხალხში ჩვენ ვერ უარვყოფთ სათანადო პრეპარატებს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იგი გერმანიის, ან ამერიკის იქნება.

გურჯაანის მთელი მოწოდება შემდეგია: დამშეულო ქართველო ხალხო, ჩამოაგდე ბოლშევიკები. გზა გაიკაფე—პური მოგიტანო. ჩვენ არ გვესმის საკითხის ასე დაყენება, არ გვესმოდა არასოდეს და თურმე ეროვნულ პარტიაში, ფედერალისტებში მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც სიკვდილის პირში მიმდგარ ქართველობას როგორც მოწოდება ხატავს პურს მაშინ მისცემს, თუ კანჭებს ჩაუყრის პარტიულ ყუთში. ჩვენ ასეთ ამხანაგებს და მეგობრებს ყოველთვის ვებრძოდით და მაშინაც არ ვაკლებდით ჩვენს უნარს ბრძოლისას, როცა ერთად ვ ყავით.

მაგრამ რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავი და პირდაპირ თავზარდამცემია ის, რომ ყოფილი „ამხანაგები და მეგობრები“ გვიწუნებენ ეროვნულ მუშაობას!? დავეთანხმეთ ერთ წუთს ამ ვაჟბატონებს, რომ ჩვენ ვერ ვმუშაობთ კარგად, მაგრამ ვინ უნდა გვასწავლოს ჩვენ ეროვნული მოღვაწეობა? დაგვისახელეთ კონკრეტიულად?—მემარჯვენე ფედერალისტებმა?—ამათში ვინ ხართ მებრძოლები, ქვეყნისათვის თავდადებულები?

როცა ჩვენი პარტიული ბიუროები ინგრეოდნენ მენშევიკების ბატონობისას, როცა არჩილის სურათები ფეხქვეშ ითელებოდა, ხოლო ეროვნული დროშები დაგლეჯილი და ტალახში ამოსვრილი გვქონდა არა ერთსა და ორ ადგილას—მემარჯვენე ფედერალისტების მთელი სიბრძნე მენშევიკებთან, დაახლოვება-დამეგობრებაში გამოიხატა, რაიცა საბოლოოდ ვერ მოშალა იმ ჯგუფის მუშაობამ პარტიაში, რომელსაც სურდა პარტიაში განახლების სიოს გაბატონება. ნუ თუ მოვიგონოთ ვორონცოვის ხანა, ნიკოლოზის დრო?—რომელთა მოგონება უდიდეს უსიამოვნო გრძნობას აღვიძებს ყველაში? ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა ვართ მიზეზი, რომ ორიოდე მწერალთა ბრწყინვალე სალიტერატურო მუშაობაში ასე სამწუხარო წითელი ზოლია გატარებული პრაქტიკულ პოლიტიკურ მუშაობაში.

შეიძლება ეხლაც იყოს ორიოდე ვინმე ძალა მემარჯვენეებში, რომელნიც მემარჯვენეთა გათეთრებულ სისხლში სიწითლის ელფერი შეჰქონდეს. მაგრამ საერთოდ, მემარჯვენეთა მცირე ძალა წარმოადგენს მზისუმზირას, რომელიც დილას აღმოსავლეთისაკენ გაიხედავს და შემდეგ კი ცდილობს მუდამ მისდიოს მზის სხივების მოძრაობას. დიახ, არა ბრძოლა, არამედ თვალებში ცქერა, ბატონების სიამოვნება, ბატონების მორჩილება—ყოფილა და არის მათი დამახასიათებელი თვისება. ჩვენ ვიცით პოლიტიკური კონტაქტი, პოლიტიკური შეთანხმება, პოლიტიკური ნაბიჯები, მაგრამ არ ვიცით მონთბა და მონობა. ჩვენ თუ დავუკავშირდით ასე თუ ისე ბოლშევიკებს, ჩვენ მუდამ სასტიკად ვებრძოდით მენშევიკებს, არასოდეს არ გვირჩევია პარტიისათვის პოლიტიკური ლიბერალიზმი, პოლიტიკური კონტაქტი ბურჟუაზიასთან, მით უმეტეს არ გვირჩევია ქათინაურები თვითმპყრობელობის წინაშე.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ბოლშევიკებიც ჰპოვებენ მემარჯვენე ფედერალისტებში არა პოლიტიკურ კოალიციონისტებს, არამედ პოლიტიკურ მსახურთ, რომ მათ მეტი ლოიალობა გამოეჩინათ ამათ წინაშე. როცა მემარჯვენეების დელეგაცია კვირაობით ევედრებოდა ბოლშევიკთა ხელისუფლებს გაზეთის უფლებაზე პირადად ჩვენ მუდამ ვეუბნებოდით სათანადო პირებს:—მიეცით მაგათ საშუალება პოლიტიკური საჯარო ლაპარაკისა, მაგათში თქვენ ნახავთ საუცხოვო დამხმარეთ, საუცხოვო მსახურთ-თქო.

ათი წლის გამოცდილება გვიმტკიცებს ამას. დღეს რომ ყველა მემარჯვენე ჩვენზე გაბრაზებულია და ქუთათურებიც განაგრძობენ ტალახის სროლას—განა მათ ჩვენთან რაიმე პოლიტიკური ანგარიში აქვთ გასასწორებელი? განა მემარჯვენენი ჩვენ გვებრძვიან პოლიტიკისთვის?—ეს ასე გონია მხოლოდ გულუბრყვილო და უვიც ადამიანს, ვინც საქმე იცის, რასაკვირველია, ისიც იცის, რომ ჩვენთან ბრძოლაში მემარჯვენეებს მეტი საპირადო და წვრილმანი ხასიათის მოტივები აქვთ, რომელსაც შემდეგ აფერადებენ პოლიტიკით. აიღეთ თქვენ ამის დასამტკიცებლად 28 მარტის რეზოლუცია დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ. კრება რამდენიმე დღე გაგრძელდა. კრებას დაესწრო 12 წევრი მთავარი კომიტეტისა, წარმომადგენელნი: ტრამვაის, ფოსტა-ტელეგრაფის, სტუდენტების, კოოპერატივების, სტამბის მუშების, რკინის გზის და სხ. საქალაქო კომიტეტისა. თავმჯდომარეობდა ს. ფირცხალავა, მდივნობდა მ. საყვარელიძე. დრ. მთ. კომიტეტის მოხსენებას გამოიწვია დიდი ბრძოლა, რეზოლუციისათვის ამოირჩიეს სპეციალური კომისია და აი ამ დიდმა შეერთებულმა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „საქართველოს სოც.-ფედ. სარ. პარტიის მთავარ კომიტეტის, საპროფესიო ორგანიზაციების, მუშათა კავშირის და სხ. კომიტეტის წარმომადგენელთა შეერთებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ, დაადგინა: მიზანშეწონილად სცნოს დრ. მთავარ კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადადგას მომავალ საკითხზე“. არა ყოფილა არც ერთი წევრი მთავარი კომიტეტისა, რომელნიც დღეს გვებრძვიან, ხმა მიეცეს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. ერთმა თავი შეიკავა, ასე ერთხმად იქმნა დასტურებული მიზანშეწონილობა ჩვენი მუშაობისა. მე თქვენ გეკითხებით ბატონო ქუთათურებო და მემარჯვენენო: ცა ხომ ქუდით არ არის დახურული, რომ ქუდმა ჩაიტიოს ყველაფერი და ვერავინ ვერაფერი გაიგოს, დიახ, გეკითხებით: ამ რეზოლუციის შემდეგ რა უფლებით გვებრძვით: სადღაა თქვენი პოლიტიკური სინიდისი?

ნუ თუ ეს ისტორიული დოკუმენტი არ ამტკიცებს, რომ ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული. ნუ თუ არ არის ცხადი, რომ დიდი პოლიტიკური კითხვები არ არის ის ცხენი, რომელზედაც შემსხდარან, თავმომწონედ სეირნობენ ჩვენი მემარჯვენეები?

ვიცით, ეხლაც არიან მემარჯვენეებში ისეთნი, რომელთაც სავსებით არ უწყით საქმის მთელი ვითარება და ჩვენც არავითარი ზომა არ მიგვიღია, რომ ასეთები როგორღაც „მივიმხროთ“. ჩვენ გვინდა ბუნებრივი მსვლელობით შევქმნათ ჩვენი ძალა, მაგრამ ამ გაურკვეველ ძალებს ვეუბნებით: დარჩით მემარჯვენეებთან, მაგრამ ერთხელაც ნუ იფიქრებთ, თითქოს მათ რაიმე დიდი ეროვნული მიზნები ახელმძღვანელებენ ჩვენი გინების დროს. ან ნუ გგონიათ ქუთათურებს, რომ მემარჯვენეები თავდადებული ეროვნული მოღვაწეებია. მოგაგონებთ: როცა მე უმტკიცებდი ყველას—მიეცით საჯარო მუშაობის უფლება მემარჯვენეებს—თქვენ ნახავთ ვისთან გექნებათ საქმე-თქო, არ დამიჯერეს. მემარჯვენენი ჩვენ ხომ უმთავრესად გვიწუნებენ ეროვნულის მხრივ? ჩვენ არ შეგვიძლია ფაქტები გადავშალოთ აქ ჩვენი მუშაობის შესახებ, მაგრამ ნება მიბოძეთ მემარჯვენეთა ფრონტიდან მოგიყვანოთ შესანიშნავი ფაქტი, მეტად მეტყველი, მეტად საინტერესო, მეტად გამშუქებელი მემარჯვენეთა ფიზიონომიისა სწორედ ეროვნულს საკითხში. პირველი სიტყვა, რომელიც დასწერა მემარჯვენე ფედერალისტმა ბოლშევიკების დროს, რა თქმა უნდა, ეროვნულ საქმეს ეხება და აი ის ფედერალისტი, მეტად აქტიური, ჩვენი მოხაზულობის ხელმძღვანელი ეხება მომენტს, არკვევს ეროვნულ ხელოვნების მდგომარეობას და აი რას სწერს: „ჩვენი ქვეყნის აღორძინება ორი მიმართულებით ხდება: ხოციალურისა და ეროვნულისა. ერთი მეორეს განკითარებაა, პირველი უმეორელოდ წარმოუდგენელი და უშინაარსოა“. ამგვარად, ჩვენ გვაჩვენებს ჩვენი მემარჯვენე ფედერალისტი, რომ ერთა ხვედრი არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული აღორძინება. არ იფიქროს ვინმემ, რომ ეს ლაპსუსია, უბრალო შეცდომაა, არა, ეს მთელი წერილის აზრი და შინაარსია. ყველამ იცის, რომ ქართულ ხელოვნებას დღეს, ბოლშევიკების ხანაში, მეთაური სახელმწიფო ჰყავს. ხელოვნების დარგში შეიძლება დიდი ბრძოლა იმის გამოსარკვევად—ხელოვნება თავისუფალი იქნება სახელმწიფოდან თუ სახელმწიფოს სრულს მფარველობით, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ოპოზიციონერისათვის ცხადი უნდა იყოს იმ მხრივ, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ებრძვის და არ სცნობს—ჩამოაშოროს ეს უდიდესი დარგი ეროვნული კულტურისა. მაგრამ აბა უყურეთ მემარჯვენე ფედერალისტს: „ხელოვნებას შემთხვევითი ჯგუფების ხელში ვერ დავტოვებთ, მარტო სახელმწიფო მასშტაბით შეიძლება დღეს მაზე ზრუნვა, მისი დაცვა, გამდიდრება“. (კურსივი ყველგან ჩვენია—ავტ.) ამგვარად, ბოლშევიკური მთავარი დებულება ხელოვნების ნაციონალიზაციის შესახებ ერთბაშად მიიღო მემარჯვენე ფედერალისტმა, სავსებით მას მიანდო ეს უდიდესი ეროვნული საქმე. არა თუ მარტო ის მიენდო ამ ეროვნულ საქმეში ბოლშევიკურ მთავრობას, იგი მემარჯვენე ფედერალისტი იქვე ქვეყანას დაჰბერავს: „და ეს უდიდესი განძი ეროვნული კულტურისა იპყრობს სახელმწიფოს ყურადღებას უკანასკნელი (ეს იგი სახელმწიფო—ავტ.) ამაგრებს და ამხნევებს მას, უკაფავს ბილიკს და—ამ მხოვლით ცეცხლის გზაზე გააქვს მისი ვარდის ფერი აფრები“. აჰა ეს შესანიშნავი გამოფენა ჩვენი მოხაზულობის ძველი მემარჯვენე ფედერალისტისა. სთქვით ამხანაგებო, როგორც ყოფილნი ისე არსებულნო, რომელთაც ბუნებრივ გრძნობები არ შეგილახავთ, დიახ სთქვით, როდის, სად, ან ასე თუ გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ ზეგეთა ან ხელთა ჩვენთაგან. ნუ თუ ასეთი ხალხ უნდა ხედავდეს ჩვენს ეროვნულ მოღვაწეობაზე რისიმე თქმას.

ეს მემარჯვენე ფედერალისტი ამითაც არ კმაყოფილდება, ის ბოლოს მიმართავს ქვეყანას მოწოდებით. აი ესეც „ყველა, ვისაც უნდა მიამაგლი მღიდარი იყოს სულიერი კულტურით, მოვიდეს და დაეხმაროს სახელმწიფოს ამ დიდს და ლამაზ საქმეში.“ აი, ამხანაგებო მთელი ოპოზიცია, მთელი კრიტიკა მთელი ბრძოლა მემარჯვენე ფედერალისტების ერთი მთავარი ხელმძღვანელისა.

გეკითხებით ეხლა, რაც ყოველივე ესე რასაკვირველია, მთელმა ძველმა მთავარმა კომიტეტმა იცის ყოველივე ეს, იცის ვინ სწერს ასე, სად სწერს და სხვა*), მაგრამ ეს ვაჟბატონი დღესაც მემარჯვენეებს ამშვენებს და მათ გამბედაობა აქვთ ჩვენ დაგვიწუნონ! ნუ თუ სირცხვილი ამაზე შორს წავა?!

ჩვენ ყოველივე ამას ყურადღება არ მივაქციეთ, როგორც არც ერთს გამოსვლას მემარჯვენეებისას ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ როცა პროვინციიდან, საქმის უცოდინარნი, ჩვენთან ხმა მაღლა ლაპარაკს დაიწყებს, ჩვენ მათ ვეუბნებით: ფრთხილად, ამხანაგო! ის ძალები რომელნიც მენშევიკების დროს პარტიაში მემარჯვენეებს მეთაურობდნენ, რომელნიც დღეს უმთავრესად „ტრიბუნა“-ს გარშემო იბრძვიან, იმდენად არ დაქვეითებულან, რომ მემარჯვენეების ეროვნული მოღვაწეობა მძიმე ტვირთად მიაჩნიონ..

თედო ღლონტი.

*) იხ. „ხელოვნება“.

## ქართველ მწერალთა კონფერენცია

ოქტომბრის 9-ს, ხელოვნების სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა მესამე კონფერენცია. კონფერენციის დარბაზში თვალს ხვდება ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის სურათები. დარბაზში მწერლების გარდა არავინა ჩანს საზოგადოებიდან, ეს ახალი არაა ჩვენთვის.

ქართული საზოგადოების ძველთა ძველი ჩვეულებაა ინდიფერენტობით მოკვლა. თუ ინგლისელები მოუთმენლობით-ინტოლერანციით ჰკლავენ თავიანთ კულტურის მოამაგეთ, ქართველები თავიანთ გულგრილობით ჰკლავენ ყოველივე ენტუზიაზმს. ეს ინდიფერენტიზმი ადვილად გასაგებია, საქართველოში ჯერაც არ არსებობს ფანატიკური სიყვარული ქართული კულტურისა და ქართული ენისადმი. ქართველ კაცს როდი აქვს ორგანიული დამოკიდებულება თავის ეროვნებისა და კულტურისადმი.

მოსალოდნელი იყო რომ ეს სხვანაირად ყოფილიყო დღეს.

დღეს, როცა ირღვევა ქართული კულტურის ყველა პოზიციები, როცა ჩვენი ეროვნული კულტურის წინ ლამდება ბრძოლაა თეატრით, ენით, გაზეთით, რეკლამით, პლაკატით, ყველგან და ყოვლის მხრით, როცა სისინია ქართული უნივერსიტეტის და ქართული მუზეუმების, ქართული თეატრების წინაამდეგ საქართველოში ქალაქური მწერლობა მუდამ მაღალი ჰყავდა იყო ქართული ნაციონალიზმისა, საუკუნეთა განმავლობაში, როცა განადგურდებოდა სახელმწიფოს ყოველივე ატრიბუტი და რუტდასხმული ერი სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, ეს ქართველი მწერალი იყო ვაქას ბათურივით რომ ამოიღებდა ზანდუკში შემონახულ ხმალს და უხმობდა იმედ წარკვეთილ ერს ახალი ბრძოლისა და ახალი გმირობისათვის.

სად დანთქმულა უფრო დიდი კოლონია და სამსხვერპლო საქართველოსადმი მხატვრულ სიყვარულისა თუ არა და ქართულ მწერლობაში.

ვის უმღერია უფრო მეტი თავდადება და სიკვდილი საქართველოსთვის თუ არა და ქართველ მწერალს.

და გასული საუკუნე საუკეთესო ილუსტრაცია ამ მხრით. როცა ქართველი მწერალი რუქასავით სვედით ანთებულ ზღაპრის უამბობდა ქართველობის მიძინებულ სინიდისს.

როგორი ნათელი სიმბოლონი! დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის წმინდა ლანდები სდარაჯობენ დღეს ქართველ მწერალთა ყრილობას.

ყოველი მათგანი ჰამლეტის მამის აჩრდილივით ნაღვლიანად გამოიყურება და მოაგონებს ქართველ მწერლობას, რომ არ არსებობს ქვეყანაზე უფრო მაღალი და წმინდა საკურთხეველი ვიდრე სახატე ერისა, რომ არ არსებობს ქვეყანაზე უფრო დიდი თავდადება, თუ არ თავგანწირვა საქართველოსთვის.

ორივე შუბლგატეხილნი საქართველოს ვერაგი მტრების მიერ ორივე წინასწარმეტყველნი და ნათელმხილველნი. საქართველოს უკუღმართი ბედით გულშეწუხებულნი რომ წავიდნენ საიქიოს. ყველა გულმავიწყი იყო საქართველოში. ყველა ადვილად იტანდა იმ ატმოსფერას, რომელშიაც ქართველობის ეროვნული გახრწნის არქიდეები მუდამ ხარობდნენ მაგრამ ვერ სძლებდა ნიკო ბარათაშვილის სათუთი სუმბული—სიმბოლო საქართველოს თავისუფლებისა. ყველა ლეღმამივით დაწვებოდა საქართველოში როცა ქართველობის თავზე გადაიქროლებდა განმანადგურებელი გრიგალი მეზობელთა აგრესიულ შოვინიზმისა, მხოლოდ ქართველი მწერლობა ფეხსმაგარ მუხასავით უწევდა თავს საქართველო-

## №-ს*)

უძვირფასესო მოძღვარო! უნდა გიძღვრო მთვრალდა,
დირსების დასაფასებლად, თავს ჩაჩქნიდ დასახურადა.
დაღონებული მოვ'ელვარ, შაწუხებული სრულადა;
სიბნელისა ჰკლავს ბორკილი, დღე ჩემი იყოს კრულადა.

რისთვის დამბადა გამჩენმა (თუ კი) ნათელს ვერ მივეწეოდე ?
რისთვის მ ძლევდა სიცოცხლეს, თუ) სწორი ვერ გავერეოდი?
სხვანი ხარობენ ჩემს გვერდზედ, მე ტანჯვითა ვილეოდე!
სალამქრად ვერ წავიდოდე, მტერსაც ვერ მოვერეოდე...

მკითხავმა მითხრა: გეწერა აქამდის ეგრე ტარება.
ცხლა ვადა აქვს მოსული, სიბნელეს მოსდის სალმება.
ქალაქში წადი, ფეხისა, ძალიან გინდა ჩქარება;
იქ გაგიხსნიან ბორკილსა, ქლიბის იციან ხმარება.

თქვენთან მასწავლე!, მოვსულვარ შავბნელი, ვიდაც ცოდვილი;
უნდა ღმერთს აამოვნოთ, უნდა გამიხსნათ ბორკილი.
სამაგიერო სამსახურს გაგიწევთ ბორკილ მოხსნილი.
სიცოცხლე ზღვათაებრ მიდუღს, არვის ვეგონო მოდლილი.

შალვა ბეწუკაძიშვილი.

*) სწავლას მოწყურებული ფშაველი ამ ლექსით მიმართავს ერთ ქართველ პროფესორს.

---

ზე მოვლინებულ უბედობას და ღვთისწყრომას.

გასულ საუკუნეში საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი წოდება, არც ერთი კლასი, რომელიც რუსეთის იმპერიალიზმის აგენტების ოქროსა და ვერაგულ პოლიტიკას არ მოეყიდა, თავადაზნაურობა ფულით და ეპოლეტებით მოიყიდეს რუსებმა, გლეხობა მათგან წართმეული მიწით, სამღვდელოება ანას და ვლადიმირის ჯვრებით; ინტელიგენცია იდეებით, რომელნიც რუსულ მასშტაბით აზროვნებას აჩვევდა ქართულ თაობებს, მხოლოდ ქართული მწერლობა შერჩა საქართველოს უანგარო სიყვარულს და მისთვის თავგანწირულ მარტვილობას რადგან ქართველ მწერლისათვის არასოდეს არ ყოფილა ქვეყანაზე საუნჯე უძვირფასესი ვიდრე სიყვარული საქართველოსადმი. ყველა იმას ამბობდა, რომ ქართული მწერლობა დიდს განსაცდელშია, ყველა ერთობლივად აღიარებდა, რომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, ხმა მაღლა უნდა ვსთქვათ რომ ქართულ მწერლობისათვის კარდინალური ღონისძიებანია საჭირო. სულ ერთია თუ ვინ იქნება საქართველოში მესაჭე როლში ქართველი მენშევიკები, თუ ქართველი კომუნისტები, ყველა თანასწორად პასუხის მგებელია ქართველი ერის და მისი მომავლის წინაშე.

ისიც არ დავფარულოთ, რომ თუმცა მთავრობის წევრები და პასუხისმგებელი პირები მუდამ მზად იყვნენ მოგვშველებოდნენ, მაგრამ ქვევით დაბალ ინსტანციები იმალებიან მკვრეხელნი, რომელიც „მაღალი, საზოგადოებრივი ინტერესების“ სახელით ხელფეხს უკრავენ მწერალთა ყრილობისაგან ამორჩეულ კაცებს.

დღეს ჩვენ მწერლობას ვალად აქვს არა მარტო მოვალეობა აწმყოსა და მომავლის, არამედ წარსულის წინაშეც. ჩვენი ეროვნული მონობის საუკუნეში ქართველობას არ ეცალა კულტურული მუშაობისთვის, მისთვის დახშული იყო სარკმელი სინათლისა. ეს აბრკოლებს იმ სამუშაოს, რომელიც ქართველ მწერალს უძევს წინ.

გამოუცემელია ჩვენი სასულიერო და საერო პოეზიის დიდძალი დოკუმენტები.

გამოუცემელია ქართული სახალხო ზეპირსიტყვაობა.

ქართველ ბავშვებს ნახევარი საუკუნის განმავლობაში კრილოვის ზღაპრებზე ზრდიდნენ, მაშინ როცა ჩვენი ხალხური შემოქმედების მარგალიტები ჯერაც არ მოგვიგვარებია.

გამოსაცემია როგორც გასული, ისე მიმდინარე საუკუნის მწერლები, არ მოგვეპოვება ევროპიულ ლიტერატურათა, კლასიკოსების და კრიტიკების თარგმანები.

რატომ დახშულა ქართულ მწერლობის ასპარეზის კარები!

აქ დანაშაული მიუძღვის თვით იმ საზოგადოებასაც, რომელიც ესოდ გულგრილად შესცქერის ქართული მწერლობის ბედსა და მომავალს.

ეს გულგრილობაც ვერ დააბრკოლებს ქართველ მწერლებს ამისთვის საკმაოდ ხანგრძლივია და ძლიერი ჩვენი მწერლობის ტრადიცია.

რაც გინდ ცუდ პირობებში არ მოგვიხდეს მუშაობა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს: ჩვენი ჯილდო ჩვენი სასოება.

სასოება და იმედი საქართველოს განახლებისა ჩვენში მტკიცეა.

არასოდეს ქართველობას ისე არ ესმოდა წელგამართული, სიტყვა ქართული, როგორც დღეს. ამ სიტყვას, იმედით ქართველი ერი ყურად იღებს.

ტფილისი ოქტომბრის 11-ს.

კონსტ. გამსახურდია.

---

# ქალთა ორგანიზაციის საკითხი

(პასუხი ამხ. კატო მიქელაძეს.

3

ამხ. კატო გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ვითომც ქარ. „ქალის პიროვნული დაბეჩავება ეროვნული ჩაგვრით“ აგვეხსნას. თავისი მხრივ ამხ. კატო სწერს „ქალის პიროვნება დაბეჩავდა როგორც ეროვნული ისე, კლასობრივი ჩაგვრისა გამო და უმთავრესად გაუთა შეგებონიათ“ (ხაზი ჩვენია ს. ა.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრალდება არ შეიძლება ჩვენი მიხამართით იყოს, რადგან ჩვენ წერილებში ვამბობდით: „თუ საზოგადოთ ქალის ჩაგვრა მისი ფიზიკური ენერგიის ექსპლოატაციაში, პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვაში და პროსტიტუციის საზიზღარ ფორმებში ჩამოყალიბდა, საქართველოს სინამდვილეში ამას ეროვნული ჩაგვრაც ზედ დაერთო“. ამასთანავე ჩვენ აღვნიშნავდით ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური წარმოების პრიმიტიულობას, რომელიც ნაწილობრივად ქარ. ქალს აყენებდა ფიზიკური ექსპლოატაციისა და პროსტიტუციის გარეშე და ვამბობდით, რომ სამაგიეროდ საქართველოში „ქალმა მთელი თავისი საშინელებით განიცადა ეროვნული მონობის უღელი, რომელმაც მტკიცედ შეარყია მისი სულიერი ცხოვრება და გადაგვარების გზაზე დააყენა“.

როგორც ვხედავთ, აქ მე და ამხ. კატო ქარ. ქალის დაქვეითების მიზეზთა შერჩევაში განვსხვავდებით, მაგრამ არა ისე როგორადაც ამხ. კატო ამბობს. განსხვავება ამაშია, რომ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში (19 საუკუნეში ქართველი ქალის დაცემის მიზეზად მე ვთვლი უმთავრესად ეროვნულ ჩაგვრას ის კი უმთავრესად ვაჟთა მეგემონიას აყენებს.

ეს საკითხი კი მართლაც ყურადღების ღირსია და პასუხს მოითხოვს.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ვაჟები, როგორც აბსტრაქტიული მცნება იყოს უმთავრესი მიზეზი ქალთა დაცემისა ქალთა დაცემის მიზეზი აუცილებლად სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც განაგებს არა ვაჟები, როგორც სქესი, არამედ განსაზღვრული მიზნების მატარებელი კლასი თუ წოდება. ისტორიას ჩვენ ვერ მივუდგებით ასეთი კლასიფიკაციით. ისტორიო) სოფია არ შეიძლება ჩვენ სქესთა ბრძოლით წარმოვიდგინოთ. ეს იქნებოდა შეცდომა, როგორც თეორიულად, ისე ფაქტიურადაც

ქალის დამჩაგვრელია არა მისი მოპირდაპირე სქესი, არამედ ესა თუ ის სოციალური წყობილება, ესა თუ ის პოლიტიკური რეჟიმი. ამიტომაც არის, რომ დემოკრატიული სახელმწიფონი და მათი კონსტიტუცია, ქალს, პოლიტიკურ უფლებათა მატარებელ სუბიექტად აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახელმწიფოს მართველები ვაჟებია და არა ქალები.

მართალია ზოგიერთი სოციალისტური პარტია სცოდავდა ქალთა პოლიტიკურ უფლებათა ბრძოლაში, როგორც მაგ. ბელგიის, შვეციის და ავსტრიის სოციალისტები, რომელსაც ჩვენი მენშევიკიც უნდა მიემატოს. (გაიხსენეთ აგრარული საკითხის გადაჭრაში ქალს არავითარი უფლება არ მიანიჭ ს) მაგრამ ამ მოვლენებით შეუძლებელია „სოციალისტთა უმრავლესობის და ვაჟების მტრად დასახვა. ასეთი ლოღიკით, რომ ვიაროთ მაშინ გამონაკლისებიდან უნდა შევქმნათ მეცნიერული კანონი, რომელიც ყირამალა დაატრიალებს მთელ კვლევა ძიებას და ვერც ერთ დასკვნას ვერ მივიღებთ.

რაც შეეხება ქარ. ქალის დაცემას 19 საუკუნის გასწვრივ, იგი უმთავრესად ეროვნული ჩაგვრის შედეგია. უადგილობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია აქ მოვიყვანოთ მთელი მასალა, რომელიც მოიპოება ამ დებულების სასარგებლოდ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმ შრომების ნაწილს, რომელიც ამ მხრივ მეტად საინტერესოა. ალ. ფრონელს თავის შრომაში 1) მოჰყავს საუარებელი ფაქტები, თუ როგორი შეურაცყოფა და მონობა განიცადა ქარ. ქალმა ძველი რუსეთის იმპერიალიზმის წყალობით. არა მარტო პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა, არა მარტო მისი შრომით ექსპლოატაცია, გინდ პროსტიტუცია განიცადა ქართ. ქალმა, არამედ სრული განადგურება ყოველი ადამიანური ღირსებისა, ზნეჩვეულებისა, ტრადიციისა და უბრალო რიგიანობისა.

ამაყი და თავმომწონე ქარ. ქალი რუსის მხედრობამ ყურეში გაბა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით „და მეხრეებად გაუთლელი რუსის „მუჟიკი“ დაუყენა. კიდევ მეტი, ჩვეულებრივ მოვლენად გახდა გაუპატიურება ქარ. ქალისა, ქმრებისა და მშობლების თვალწინ. მაგრამ თუ ასეთი იყო ქართველი ქალის მდგომარეობა 19 საუკ. პირველ ნახევარში იგი არც შემდეგ შეცვლილა და ასეთივე სურათები მეორდება 20 საუკუნის დასაწყისში. ევ. გეგეჭკორი თავის სიტყვაში, (მესამე სახ. სათათბიროში), აღნიშნავს გულშემზარავ ფაქტებს ქალის გაუპატიურებისა, შეურაცხყოფისა და მასი სრული უპატივცემულობისა, (რომელზედაც მარჯვნით ხარხარი გაისმის) იგი აღნიშნავს, რომ გამხეცებული კაზაკები 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ, რეაქციის გამგეების დროს, აუპატიურებდნენ 60 წლის მოხუცებსაც კი. 2)

ჩვენ ამის ემდეგ აღარ შევჩერდებით უფრო წვრიმალ ფაქტებზე. ლიტერატურაში, სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიაც კი ჰპოვა თავისი გამოხატულება რუსეთის გავლენამ ქალის პიროვნების უპატივცემლობაზე და მის დაცემაზე. მოვიგონოთ ალ. ყაზბეგის გმირები, მაშინ, როდესაც მოხევეები ამოღებულ ხმალს შეაჩერებენ ქალის „მერდინის“ დანახვაზე, გარუსებული მოხევეები სცემენ ქალს და მონის მდგომარეობაში აყენებენ მას.

ამ რიგად ჩვენ შევეძლო ჩვენი დებულება ეროვნული ჩაგვრის შესახებ დამტკიცებულად ჩაგვეთვალა, მაგრამ ამხ. კატო გვეუბნება, რომ რუსის ბიუროკრატიის მაგივრად ქარ. ბიუროკრატია ყოფილიყო, მდგომარეობა არ შეიცვლებოდა. ამისათვის კი საჭიროა გაკვრით აღვნიშნოთ ქარ. ქალის მდგომარეობა ჩვენ ისტორიულ წარსულში, რუსების შემოსვლამდე.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრით ჩვენი ლიტერატურა მეტად მკრთალ და დაუმტკიცებელ ფაქტებს იძლევა. ცოტაოდენი ცნობები შეიძლება ამოვკრიბოთ „ქართლის (ცხოვრებიდან“ პათივ. დ. ჯანაშვილის შრომიდან 3) და დ. ბაქრაძის პატარა წიგნიდან, 4) მაგრამ მაინც შეუძლებელია ზედ მიწევნით გამოკვლევა და დამტკიცება იმისი, თუ რა უფლებებით სარგებლობდა ქარ. ქალი წარსულში და როგორ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ფაქტები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქალთა უფლებები არც ისე იყო უზრუნველყოფილი, როგორც ამას აღიარებდა ჩვენი ბრესა 19 საუკუნეში. საქართველო აღმოსავლეთის გავლენას განიცდიდა. არა ერთხელ გამხდარა იგი აზიური ქვეყნების სათარეშოდ, არა ერთხელ ხარკად აძლევდა ქალები ყოფილა წაყვანილი და გადაგზავნილი. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ ზნეჩვეულების მხრივ არა, ქალთა უფლებებს მხრივ მაინც დაჩნდა გავლენას ჩვენ ქვეყანას.

ჩვენ ვიცით, რომ IV—VI საუკუნოებში ქალებს უფლება არ ქონდათ ვაჟებთან პურის ჭამისა.

XVII საუკუნეში ტყვეთა ნიხრში ვკითხულობთ, რომ ქალი 13—18 წლამდე ღირდა 14 მანეთი, ხოლო 13 წლისაზე ქვევით და 18 წლისაზედ ზევით კი იგი ფასობდა 10 მანეთი. ეს ფაქტი ამჟღავნებს, რომ პროსტიტუციის პრიმიტიულ ფორმებში მაინც ქონია ადგილი. ვახტანგის კანონებში ვკითხულობთ „უკეთუ დედაკაცი მამასახლისთან მივიდეს და მოახსენოს, ამ კაცმა ჩემთან იმრუშაო, ნუ ირწმუნებენ მამასახლისნი“ ქვევით ვკითხულობთ „დედაკაცი შვილთა თვისთა ზედა ნუ ფლობენ და არცა ჯერ არს, არამედ მამასა აქვს ხელმწიფება შვილსა თვისსა ზედა, ავის ქმნა გინდ კარგისა“ 5)

აგრეთვე ამავე კანონების ძალით ქვრივი ვალდებულია ერთი წლიწადი იგლოვოს ქმარი და ვერ გათხოვდება წლის გასვლამდე, თუმცა მეორე მხრივ მზითევი ქალის სრულ საკუთრებად არის აღიარებული, რაც აზიაში უჩვეულო რამ არის.

ქალის პიროვნებაც ღირსეულად არის აღიარებული. მისდამი ქცევა ადვილი არ არის. კანონებში ვკითხულობთ „უკეთუ კაცმან თავი დანიშნულ ცოლს აკლოს და ორისაგან ერთი მოკვდა, რაც რამ ნიშანი მოუტანია ქალისათვის იმ ნახევარი კაცისათვის ქალს მიეცემა და ნახევარი იმავ კაცსა მიეცეს. უკეთუ კაცმა არ მოხდა, თავისი ნიშანი ისევ უკან წაიღოს. 6)

ასე რომ თუ ერთი მხრით ქარ. ქალი უფლება მოცული არ იყო სავსებით, იგი ადამიანურ პიროვნებით მაინც იყო აღიარებული ამ რიგად ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამხ. კატოს, ვითომც ქართველი ბიუროკრატია, რომელიც თავის ტრადიციის ქალის პიროვნების პატივსცემას იცავს ვიდრე რუსის ბიუროკრატია რომელიც ქალს არარაც სთვლის ერთი და იგივე იქნებოდა, ბიუროკრატია თავისთავად არც ჩვენია მისაღები და არც რუსის, მაგრამ ერთი ჩვენი ამხანაგის არ იყოს ბახუტიავის შოვინიზმს საქართველოსათვის ბახუტაშვილის შოვინიზმი სჯობია.

ამხ. კატო იმასაც მისაყვედურებს. რომ ვითომც მემატიანეს ცნობებიც „პოეტურ ფანტაზიათ“ მიმაჩნდეს. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ პოეტური ტიპები არ გამოდგება ისტორიულ ტიპებათ, რაც თავის თავად არ არის საკამათო, მაგრამ ამავე დროს ვამბობდით რომ „მიუდგომელი ისტორიაც საკმაო ფაქტებს გვაძლევს რომ შედარებით მაღალი წარმოდგენა ვიქონიოთ ქარ, ქალის პიროვნებაზე ჩვენ ისტორიულ წარსულში“.

ჩვენ გვიკვირს, ნუ თუ ამის გაგება შეიძლება ისე, ვითომც ქარ. ქალის წარსულზე ჯვარი დამესვას და მისი ღირსება „პოეტურ ფანტაზიად“ მექციოს?

ამხ. კატო მოგვაგონებს „კაროჟნასთან დარისპანსაც. რომელიც ჩვენ ჩვენი ლიტერატურის ახალი პერიოდიდან ქალის ტიპი „კაროჟნაში“ დავინახეთ, ჩვენ ვამბობდით, რომ „ხელოვნებაში“ დღეს კი ოჟნები მეფობენ მეთქი. ეს ფაქტის საკითხია, ამაზე კამათი საჭიროც არ არის. მაგრამ ამხ. კატო მისაყვედურებს, რომ ავტორი გვიხატავს გარდამავალი პერიოდის ეპოქის ტიპს, როდესაც კაპიტალისტური რეჟიმი განიცდის სოციალისტურს ბრძოლას, ეს შეცდომაა, რადგან იქ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ეპოქას გარდამავალი პერიოდი კი არ არის, არამედ ფეოდალურს და კაპიტალისტური მეურნეობის შუა გარდამავალი პერიოდია აღებული მაგრამ ეს თავის თავად არ არის საინტერესო, ხელოვნება მეცნიერული კრიტიკის აზრით სოციოლოგიური მოვლენაა და არ შეიძლება მან მოგვცეს სოციალური ცხოვრების გარეშე მდგომი ე. ი. არ არსებული ტიპი. საქმე ის არის, რომ დღეს ქარ. ქალი იმდენად არა სჩანს, იმდენად მკრთალია რომ იგი ვერ იპყრობს ხელოვანის აღმაფრენას და ვერ ქმნის ქარ. ქალის ტიპს.

დღეს და 19 საუკ. ლიტერატურაში დარისპანებთან ვხედავთ კაკოებს და გაბროებს ხოლო „კაროჟნებთან“ მხოლოდ თათქარიძის „დარეჯანებს“ თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ოთარაანთ ქვრივს“, რომელიც ქალის ტიპად არ შეიძლება ჩაითვალოს და კრიტიკოსმა კიდეც აღაშიძემაც იგი ეროვნული სულის, ერის ფსიქოლოგიის მატარებელ ტიპად აღიარა.

მეტად სამწუხაროა, რომ ასეთია ქარ. ქალი. ჩამორჩენილია იგი, რასაც ამხ. კატოც არ უარყოფს. ცხადია ქარ. ქალის ჩამორჩენას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ დღეს ჩვენთვის, როდესაც ქ. ლ. ორგანიზაციის საკითხზე ვლაპარაკობთ საჭიროთა გზების ძიება, რომლითაც ქალის ინდივიდუალობა აღდგება და იგი ღირსეულ ადგილს დაიჭერს ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე.

კიდევ მრავალი საკითხი წამოაყენა ამხ. კატომ, რომელსაც შემდეგ მოკლედ შევეხებით.

ხერ. ამაღლობელი,

1) ალ. ფრონელი „კახეთის ამბოხება“.
2) „Стенографическій отчетъ“ 2 სესია, 37 სხდომა.
3) დიმ. ჯანაშვილი „ისტორიული სურათები“
4) დ. ბაქრაძე „ქარ. ქალები“.
5) ვახტანგის კანონების ხელთნაწერი „გავბედი ფედა კაცი“.
6) ibid გვ. „ვი“.

---

## ახალი ამბ[ები]

— მცხეთის ხაზზე დღეისათვის გამოვა პირველად 14 ოქტომბერს (ახალი სტილით) მცხეთასა და ტფილისს შუა ივლის მატარებლები შემდეგ საათებში, ტფილისიდან გავა დილის 8 საათზე, 10 საათზე და 1 საათზე დღისით. მცხეთიდან დაბრუნდება საღამოს 5 საათზე, 7 და 9 საათზე.

— მოსამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადაყვანის დროს საქართველოს რესპუბლიკაში ამ ჟამათ შემოღებულია შემდეგი წესი: 1) მოსამსახურეს ეძლევა სამგზავრო დახმარება ერთი თვის ჯამაგირის სახით და ისეთი ხარისხის, რა ადგილზედაც ესა თუ ის პირი გადაყავთ, გარდა ამისა 2) იმ პირთ ვისაც ოჯახობა ყავს თითეული მისი ოჯახის წევრი, რომელიც მასთან მიემგზავრება ღებულობს უმცირესს თვიურ ჯამაგირის ტარიფს იმ ადგილისას, რომლიდანაც მოსამსახურე ან მუშა გადადის. 3) აღნიშნულ დახმარების გარდა მთელი გზის მანძილზე ღებულობს დღიურ დაკმაყოფილებისათვის ფულს დანიშნულ ადგილას ჩასვლისას, ახალი ადგილის ხაზინადრიდან.

— კავკასიის რესპუბლიკების სატარიფო ყრილობა გაიხსნა ოთხშაბათს 12 ოქტომბერს დილის 10 საათზე. საკამერო თეატრის შენობაში.

## რუსეთი

მოსკოვი. კრემენჩუგიდან დამშეულთათვის გაგზავნილია 5 ვაგონი ქერი დამზადებულია გასაგზავნათ კიდევ 5 ვაგონი ზედმეტი დროის მუშაობამ დახშულთა სასარგებლოთ მისცა 63 მილიონი, ერთ-კვირეულმა დახმარებამ 25 მილიონი. ოდესაში შეგროვდა 80 მილიონი მანეთი ჩერნიგოვში შეგროვდა 140 მილიონი მანეთი, მთელ ჩერნიგოვის გუბერნიაში მოგროვდა 335 მილიონ მანეთამდე ფული და 12 მილიონი სხვა და სხვა საგნები. არხანგელის გუბერნიაში მოგროვდა 50 მილიონი მანეთი პერმის გუბერნიაში გახსნილია 7 სახაზო სასადილო.

მოსკოვი. კონტრ-რევოლიუციის აგენტებიდან კვლავ ჩადენილია ბოროტმოქმედება. მათ აყარეს რკინის გზის ლიანდაგი სადგურ ნარევოსთან, რომლის გამო სამგზავრო მატარებელი კიდედან გამოსული გადავარდა. დაიმსხვრა რამდენიმე ვაგონი, მოკვდა 30 კაცი. მრავალი დასახიჩრებულია. ბანდიტები მატარებელს ესროდნენ, ცოცხლად დარჩენილი მგზავრები ტყეში გაიტაცეს, სადაც გაცარცვეს. 15 მათგანი დახვრიტეს.

მოსკოვი. ოქტომბრის 9 ვარშავში მოხდა ძასწავლებელთა კავშირების მანიფესტაცია, რომელიც მოითხოვდნენ საყოველთაო სწავლის ცხოვრებაში გატარებას.

## ტელეფონის ქსელის უფროსს

უმორჩილესად გთხოვთ ერთხელ მაინც შეგვატყობინოთ: რამდენი თვეა საჭირო, რომ რედაქციის ტელეფონი აღადგინოთ?

ან საქ. რევკომას გარდა ვისი ნებართვაა კიდევ საჭირო ტელეფონის აღდგენისათვის და რამდენჯერ უნდა მივიდეთ თხოვნა ამისათვის?

ან ვინ უნდა გამოარკვიოს ტელეფონის საჭიროება რედაქციისათვის.

რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტ[ეტი]

დაჰკარგე ატესტატი ოზურგეთის ქალაქო სკოლის მიერ მოცემული და მეტრიკული მოწმობა ელისე ერქომაიშვილის სახელობაზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

დაჰკარგე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა დავით ირაკლის ძე თუთბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაჰკარგე მე ტფილისის მოქალაქე მართა გიორგის ასულმა მამაცაშვილმა საბებიო ინსტიტუტის მოწმობა. მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ წარმოადგინოს ამ მისამართით მე-7 უბანი, ლაზარევის ქუჩ, ბებია მართა მამაცაშვილი.